# ნიანგი

გამოცემის 53-ე წელი, № 1469. თებერვალი. 1976. ფასი 20 კაპიკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. აბაშიძისა

— პატივცემულო დირექტორო! ლავრენტი წუთუსვენებას თხოულობს, ვალიდოლი უნდა დავლიოთ!..

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს ისევ აქრობს კვერცხებს, მგონი, ჩვენი ფერმის გამგეა!.

## ინტერვიუ თავმჯდომარესთან

— როგორა გაქვთ თესვის საქმე?

— ჩვენთან დათესვა იანვრიდანვე დაიწყო: პირველად უბნის აგრონომი და ბრიგადირი დაითესნენ...

— რომელი კულტურაა თქვენთან წამყვანი?

— ფიზკულტურა! ჩვენი კოლმეურნეობა, რაიონის ჩემპიონია...

— გყავთ თუ არა დამკვრელები?

— როგორ არა, ბატონო, მაშ, უმუსიკოდ პური იჭმება?!

— როგორ გაქვთ მექანიზაციის საქმე?

— გმადლობთ, კარგად: ერთი შვილი შარშან მოეწყო მექანიზაციის ფაკულტეტზე და მეორე წელს აბარებს!

— რას უჩივით?

— სიბრძნის კბილს, მაგრამ ექიმთან მისვლას ვერა ვბედავ. ექიმს უნდა ვთხოვო, დამიჭირონ და ისე მომაძრონ...

— ჩემის აზრით, ჯერ მოგაძრობენ... მერე. დაგიჭერენ თუ არა, ვერ გეტყვით!

ნიკოლოზ იოსებიძე

# ჩვენებური ქორწილი



მომწონს თემქის დასახლება
ადგილია დალოცვილი:
ყოველ ღამეს ქორწილია,
ქორწილი და რა ქორწილი...

ალმართავენ კარვის ანძას,
გეგონება მეხამრიდი,
კორპუსიდან კორპუსამდე
გაიშლება სეფა დიდი.

ქუჩას გადაგიკეტავენ
კასრებით და ხორაგითა,
ბინაში რომ შეაბიჯო,
შორი გზიდან მოვლა გინდა!



მაყრიონთან შესახვედრად
მზადება და წრიალია,
დაგაყრუებს მანქანების
ყვირილი და რია-რია!

აწყვეტილი ქეიფია,
უთავბოლო ლხინი არი,
ჭიქას თასი ენაცვლება,
ყანწი ფრინავს ლიტრიანი.

დაღამება დაგმწარდება,
გათენებაც მოდის თარსად,
ბოლო არ აქვს ზურნის ჭყვიტინს
და ბაგაბუგს დოლისასა.

ლამისაა, ჩამოინგრეს
ფანჯრები და დარაბანი,
როგორ უნდა დაიძინო,
გტკივა ყურის „ბარაბანი“.

ხან დავლურის ხმა ჩაგესმის,
ხან ჩაღდება კინტაური,
ძილგატეხილს სიფათი გაქვს
ჭაჭანაჭამ ინდაურის!..

ნოდარ შამანაძე

**„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს!“**

**შექსპირი**

**არ მაქვს თანამდებობა, არ მყავს დიდი კაცი, არ მაქვს თანხა. მაქვს სიმართლე, ვარ საშუალო განათლების, მკერავი, ლენინის ორდენოსანი, მედალოსანი, მშრომელი ოჯახის პატიოსანი ქალი, წესიერი შვილის აღმზრდელი დედა...**

ასე იწყება **ნორა ისიდორეს ასული მგელაძის** ბარათი, რომელიც რედაქციამ ზღვისპირეთიდან მიიღო. სტრიქონებს ქალის ცრემლები არ შეშრობოდა. საქმის დღის სინათლეზე გამოტანის სურვილმა აგვანთო, **შინაგან საქმეთა სამინისტროში** მიგვიყვანა და სქელტანიან წიგნში თავი ამოგვაყოფინა...

ეს ამბავი ქ. ფოთში მოხდა, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას სამოცდათორმეტ-სამოცდაცამეტი წლების დასასრულსა და დასაწყისში. **მილიციის კაპიტანმა გიორგი პლატონის ძე კვაჭაძემ** მეორე წყება ცოლ-შვილი გაუშვა და მესამესათვის, ჩოხის ნაცვლად, ძუნდირი მოიზომა. მერე აქ გასაკვირი რა არის? არაფერი! კაცია და გუნება!..

როგორ თუ არაფერი?! გარეკანიდან კინაღამ ამოვარდა „საოჯახო კოდექსი“: სანამ სასამართლო დადგენილებას არ „გამოიტანს“, ცოლს ვერ გაეყრები! მით უმეტეს, მორიგ ცოლზე ფიქრიც კი ზედმეტია. „რა გაეწყობა!“ — გაიფიქრა კაპიტანმა...

იქნებ, ვინმემ იფიქროს, **კვაჭაძემ** განქორწინების შემდეგ დაიწყო აბალი ცოლის ძებნა?! არა! მას უკვე კარგა ხანია მოძებნილი ჰყავდა მორიგი საცოლე, ქმარშვილიანი ვინმე **ზჩეპენკო**, რომელსაც „სამუდამო და საბოლოო“ სიყვარულს ეფიცებოდა.

თითქოს აქ არაფერი ირღვეოდა და ყველაფერი ბალანსირების ფარგლებში იყო. ერთი ტოვებდა ცოლ-შვილს, მეორე ქმარ-შვილს და ორივენი თავისუფლები იქნებოდნენ. სწორედ ამ

# გაღამპარჩინეთ უცოლობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიყვარული** გამოგიცდიათ? ჰოდა, აღარ მინდა ახლა თქვენს გულს დავრიო ხელი! მხოლოდ ამას გეტყვით! ისე, როგორც თქვენ, მეც შემიყვარდა ერთი გოგონა და იმაზე უკეთესი ამ ქვეყანაზე არავინ მეგონა.

...ლისის ტბის მიდამოების ვიწროებს მივუყვებოდით, ცა ქუდად გვეხურა და დედამიწა ქალამნად გვეგებოდა. ყოველ თვალმახარა ადგილს ჯულიეტა აღტაცებაში მოჰყავდა და ეს აღტაცება მისი ცხელი ტუჩების ჩემს ყურისძირზე დაწებებით მთავრდებოდა. ამ დროს ისეთი მძლავრვოლტიანი დენი მივლიდა ტანში, რომ გრიპის ვირუსები კი არა, კოხის ჩხირებიც ვერ გაუძლებდა. უკან რას დავიხედე! ცხრათავიანი დევი რომ შემხვედროდა, მის თავებს ბადურაში ჩაყრილი ფეხბურთის ბურთებივით დავუყრიდი ჯულიეტას წინ.

ის იყო, საქეიფო მუხის ძირას ცხვირზე ცერისა და საჩვენებელი თითის მიფარებით გავიარეთ, რომ დავაკებაზე დავინახე: ორ გოგონას წინ სამი ახალგაზრდა გადადგომოდა. წკიპზე შევდექი, ჯულიეტა წინსადგარივით გამერჭო წელში... ხელით მოვიშორე, ველივით გავვარდი და, მუშტებშეღერებული, გოგონებსა და ჭაბუკებს შორის ჩავდექი.

— ვისი ტიკი-ტომარა ხარ? — მკითხა შუბლზე ნარმის ქუდჩამოფხატულმა და შურდულის ტარივით გაფარჩხული ორი თითი თვალთან მომიტანა.

— რა გინდათ გოგონებთან? — გულ-ღვიძლი ამოვაყოლე ხმას.

ნარმისქუდიანმა ძმაკაცებს გადახედა.

— ბიჭებო, რეცეპტის ბლანკი რომ დაგვეკარგა, ამისთვის გამოუწერია ექიმს! ამერიკული მასაჟი ამას! — და მჯიღი ნიკაპზე ამომკრა. კბილები იმდენი ცხენის ძალით დაეჯახნენ ერთმანეთს, რომ თვალებიდან ნაპერწკალი გამცვივდა... გოგონების კივილმა გამომაფხიზლა. გონს რომ მოვედი, ნესვის ქურდობაზე წასწრებულივით შენთებოდნენ აღმართს ის ბიჭები.

გოგონებმა მადლობა გადამიხადეს. გამარჯვებულის იერით დავუბრუნდი ჯულიეტას. იგი მუხას მიყრდნობოდა და შეღებილი წამწამებისფერ ცელულოიდის სათვალეს აწვალებდა. გოროზად შემომხედა.

— კარგად მოგხვდა? — მკითხა.

— არ გაქცეულიყვნენ და მოხვედრას ნახავდნენ!..

— მილიციაშიც ხომ არ წაიყვანდი?

— არც მაგას მოვაკლებდი!

ჯულიეტამ ჩამჯიღული სათვალე შეიბრალა, ხელი უშვა. ისეთი მზერა მომპყრო, თითქოს ვერ გაერკვია, მე ვიყავი თუ სხვა ვინმე. ბოლოს სატანჯველისაგან გამათავისუფლა. მკითხა:

— აი, ავტობუსში რომ შეამჩნიო, ვინმე უბილეთოდ ჩადიოდეს, რას იზამ?

— როგორ? — გავიკვირვე, — დავავლებ მკლავზე ხელს და ვეტყვი: „ბილეთის აღება დაგავიწყდათ, ესე იგი ხუთ კაპიკს აკლებთ სახალხო დოვლათს! ორას ორმოცდაათი მილიონი კაცი ასე რომ მოიქცეს, რას მივიღებთ მაშინ?!“

— დიდებულია! — წარბები გახსნა ჯულიეტამ.

მერე აღარ დააყოვნა:

— აი, სამსახურში რაღაც უწესივრობაა. ზოგი თაღლითობს, ზოგი რაღაცას იჯიბავს, უფროსობა თვალს ხუჭავს. პირიქით, იმას ცდილობენ, რომ, როგორმე, თვითონ ნახონ სარფი. მაშინ?

— ქვეყანას შევყრი! სიტყვით გამოვალ საამქროს, პროფკავშირის კრებებზე! არავის დავინდობ! ადგილზევე თუ ვერ მივაღწიე საწადელს, სიმართლისათვის ბოლომდე ვიბრძოლებ!

— ვაშა წმინდანს, დიდება! — ტაში შემოჰკრა ჯულიეტამ, მუხის გამოშვერილ ფესვებზე ამაღლდა და ხრამისაკენ მიმითითა...

— გაუყევი, ცოტნე! იქნებ, გზაში ქარის წისქვილები შემოგეყაროს, მისცხე, არ დაინდო!..

ავხარხარდი.

— რას იღრიჯები?! — შემომწყრა, — ცხრა უმაღლესი რომ დაამთავრო, ცვლის ოსტატობას. მაინც ვერ ასცდები! მუდამ მშიერ-მწყურვალი იქნები, შენი ცოლ-შვილი კი — მათხოვარი!.. იდიოტი! — წაიბურტყუნა და თავდაღმართში დაეშვა...

**გალაქტიონ მახარაძე**




— ამ პურზე რომ ამგოგ, თეთრიაო, გაწითლდი მაინც!

„თავისუფლების“ მიღწევა უღრღნიდა ტვიხს **კვაჭაძეს.**

დასახული მიზნის შესრულებისათვის კვაჭაძე ყველაფერზე წავიდა: გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, თანამდებობა, წოდება, ნაცნობობა, ფიზიკური ძალაც კი და შეიმუშავა ცოლის მოცილების ორიგინალური მეთოდი.

აი, რას ვკითხულობთ გამოძიების მასალებში: **„იმ მიზნით, რომ კვაჭაძეს ნ. მგელაძის მიმართ ცილისმწამებლური ფაქტები განემტკიცებინა, შეცდომაში შეიყვანა ქ. ფოთის № 1 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ა. ცხომარია, ექიმი ბ. კაპლანი და გააცემინა ყალბი საბუთები.**

ექიმ-ონკოლოგ **ე. სოლნცევას** მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ დასმული შიზოფრენია ექიმმა **ბ. კაპლანმა** კვაჭაძისებურად დაასაბუთა და ხუთი თვის შემდეგ გაუსინჯავად (ავადმყოფი არ უნახავს) ნ. მგელაძეზე შეავსო ფორმა №27 — „ნანატრი საგზური“ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოსათავსებლად!..

უსულგულო ექიმმა **ბ. კაპლანმა** და მილიციის კაპიტანმა **გ. კვაჭაძემ** სული აუფორიაქეს ნ. მგელაძეს. დაიწყო ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება. სიმართლისაკენ მიმავალი გზა ძალზე ვიწრო და ეკლიანი აღმოჩნდა... ამ გზაზე ქალი მარტო იყო, თუ არ ჩავთვლით მცირეწლოვან შვილს, რომელიც მუდამ გვერდით ჰყავდა...

საბოლოო სიტყვა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში ითქვა: კონსილიუმმა ნ. მგელაძეს არ დაუდასტურა ფსიქიური დაავადება! **გ. კვაჭაძე** განაგრძობდა აღებული გეზით სვლას და საქმეებს თავისებურად კვაჭავდა...

დავუშვათ, **გ. კვაჭაძეს** არ შეეძლო „არანორმალურ“ ცოლთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა, მაგრამ საკითხავია, როგორ ანდო „სულიერად დაავადებულს“ საკუთარი შვილი?!

ზოგს კვაჭაძის საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა: ამბობდნენ, გიჟი უნდა იყოს კაცი, ასეთი, ცოლ-შვილი რომ მიატოვოსო... (ვითომ, ბოროტი ენები ამბობდნენ ამას?!)

ზოგ-ზოგს ისიც უთქვამს, **როცა კვაჭაძემ** ოჯახზე გული აიყარა, ცოლის ნერვულობა გამოიყენა ფსიქიური ავადმყოფობის ნიშნების შესაკოწიწებლადო. საქმე საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაირკვა.

ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, ბევრი დროც დაიკარგა, როცა ყველაფერი დამთავრდა, დარჩა სავალალო ამბავი: ოჯახი — დანგრეული, ნ. მგელაძე — ცოლყოფილი, გ. კვაჭაძე — ყოფილი ქმარი და მილიციის ყოფილი თანამშრომელი.

გაკვაჭული ფორმა № 27 — გაუქმდა. დამნაშავე ექიმები, მართალია, მსუბუქად, მაგრამ მაინც დაისჯნენ. მძიმედ დასჯილნი აღმოჩნდნენ მხოლოდ ორნი: დედა და შვილი!..

**ჟანი სიხარულიძე,**
**გიგლა ბახტაძე**

# ეს ... ეს ... ეს ...

**მაქიაჟს შემოსხდომიან ორნი. თხელი და სქელი. თხელი სტუმარია, სქელი — მასპინძელი. ჩანს მასპინძლის ავლა-დიდება: ერთ მხარეს — აგარაკი, უზარმაზარი ბაღი, გარაჟი და ა. შ. მეორე მხარეს — იმპორტული ავეჯითა და ბროწეთი გაჯეჯილი, ხალიჩებით აჭრელებული ოთახები.**

**სქელი** (აგრძელებს დაწყებულ საუბარს. მაგიდაზე კონიაკის ერთი ბოთლი უკვე ცარიელია): ეს აგარაკი, ბიძიკო, ათი წელია აკეთებენ. ჩემთვის არ ჩამოურთმევიათ, როგორც ხედავ! იცი, ვის ჩამოართვეს? ორომუცელებს, აბაზაკეს, ძელანგველებს, მე კი... მე რა? მე პატარა კაცი ვარ... მაშინ, ბიძიკო, ამ ათი წლის წინ. სოფლმშენის მმართველი ვიყავი. მმართველი კი არა, — მეხი! ჩემი შიშით აკანკალებდა ყველას. გეგმასაც ვასრულებდით. მაშინ, მგონი, მხოლოდ სოფლმშენი ასრულებდა გეგმას. ეს ერთი, დიდი-დიდი, ეს ორი პროცენტით. ამისათვის, ბიძიკო, პრემიას მაძლევდნენ! მე კი, ფულის მაგივრად, ჩამოწერილ ხე-ტყეს ვიწერდი. რა მოხდა, ახლა, ჩამოწერილის მაგივრად, მეხის თუ მომატანდნენ ბოქნიბინ?! ჩვენი ქვეყანა, ჩემო ბიძიკო, იმხელაა, რომ აქ შეეტყობა ეს დანაკლისი! ა, ეს, ხელ-ფელა, ავაშენე ეს სანატორიუმი. რაკარია, აქ ხუთი გადგილიანებული ოთახი, ეს დახურული ლოჯია, ეს — დაღხურავი, ეს აივანი, ის გარაჟი — რავარია, აქ ნაკვეთი თუ დაათვალიერე, ბიძიკო? (თხელი ოთხს უქნევს) მოგეწონა, ხომ? მოგეწონა? აბა, რა გგონია! ეს ნაკვეთი დიდი ხანია გავიხერხეს, მიწათმოქმედების ტრესტში რომ ვიყავი საქმეთა მმართველად. აბა, ნაკვეთი რომ არ მქონოდა, სახლს სად ავაშენებდი?! (თვითონვე ხარხარებს თავის უხეირო ხუმრობაზე) რავარია, ბიძიკო?!

**თხელი** (გაბღენძგიერ): ძალიან, ძალიან კარგია, თანაც აგურის საძირკველიც ჩაგიყრიათ.

**სქელი:** დღიე, ბიძიკო, დღიე (თვითონ სვამს)

**თხელი:** არა ვსვავ!! ჩემთვის არ შეიძლება ხომ გითხარით! (ციკას ტუჩებთან მიიტანს და უკან დადებს)

**სქელი:** ჰო, ეგ აგურის ქარხნის ამოსაკრეფად რომ დამეწინაურეს, იმდროინდელი ამბაკეა. მოგეწონა აგური, ხომ? აი, გადავედი თუ არა ქარხანაში, ასეთი აგური გამოწვა დავიწყეთ. უმაღლესი ხარისხისაა. იქიდან, ჩემო კარგო ბიძიკო, ხალიჩებში ბადმიიყვანეს. რა დამრჩა იმის სახსოვრად? რაღაც თერთმეტი ხალიჩა! ახლა, ბიძიკო. შენ ხომ სოფლის სკოლაში მუშაობ, არა? ჰოდა, სოფლის მასწავლებელსაც კი შეეძლია ასეთი ხალიჩები შეიძინოს, თუ ჯკუთი მოიქცევა...

**თხელი:** უკაცრავად, ჩემო ბატონო, მაგრამ მე... (წამოდგება)

**სქელი:** დაჯექი, დაჯექი! დაიღალე? აქ თუ დაიღალე. აი, იმ დეკანაზე გადავჯდეთ! ორი გარნიტური მაქვს ასეთი. ავეჯვაჭრობაში ტუკილად ვიძუშავე? აბა გარნიტურს, ჩემო ბიძიკო, წუნი აღმოაჩნდა! წუნიანს ხომ არ მივყიდდი საბჭოთა მოქალაქეს?

**თხელი:** ამ ავეჯს წუნს ვერ ვატყობ მე!

**სქელი:** როგორ გეკადრება! ამ დივანს სამი ქანჩი ჰქონდა მოშვებული და ჭრიჭინებდა. იმ გარდერობს და ამ წიგნების კარადას კი ფანელურები აძვრა!

**თხელი** (ამ ... ახლა გაუნათდა): უჰ, ბოდიში წყნარია! ასეთი ბიბლიოთეკა ჯადოქმოკასსაც კი შეშურდებოდა!

**სქელი:** აბა, მოდას ხომ არ ჩამოვრჩები, ბიძიკო?!

**თხელი:** ტანსაცმელი, თხზულებათა სრული კრებული...

**სქელი:** ეგ რომელია სტენდელი? ხომ მოგწონს, შიგნით მწვანე წიგნები რომ ჩავიმატე? კიტრისა და პამიდორის სალათასავით გამოვიდა!

**თხელი:** ეგ მწვანე რაღაა? ვაკაფშეველ? იცოცხლე, კარგია, მაგრამ სტენდალისა და ვაჟასაგან სალათა არ გამოვა.

**სქელი:** ისე, გულსახდილად რომ გითხრა, არც ერთი არ წამიკითხავს, თბილელებში ვძუშაობდი სამ თვეს დ... მოდი, მოდი, ბიძიკო. თითოც დაკლიათ!

**თხელი:** არა ვსვამ მეთქი, ხომ გითხარით?! თანაც ექიმისა, ჭიქა არ გამიტაფეს. ასეთი ჭიქები სადმე ბენზინა, ბიძიკო, ეგ ... ... ...

ნახ. მ. აბაშიძისა

— ჯერ ეს კილოიანი ამიწონე და, თუ ზუსტად კილო გამოვა, მერე ერთი კილო შაქარი მომეცი!

ნახ. ჯ. ლოლუასი

უსიტყვოდ

— მომისმინეთ! — მუშამ კორიდორში შეაჩერა ფაბრიკის ქვეოსტატი.

— არა მცალია შენთვის, დირექტორთან თათბირია: თქვენი გამოშვებული პროდუქცია მაღაზიაში არ იყიდება! წუნს უშვებთ, წუნს!

— მომისმინეთ! — მუშამ ხმა მიაწვდინა საამქროს უფროსს.

— მოსმენის კი არა, შეხედვის დრო არა მაქვს! დირექტორთან თათბირია!

— მომისმინეთ! — მუშამ ხმა მიაწვდინა ტექნიკური კონტროლის უფროსს.

— ვის სცალია შენთვის?! თათბირია, თათბირი! ეგ წუნი წინდები რო დაგიჭერია, მაგის გამოა აურზაური!..

— მომისმინეთ! — მუშა აღაღადდა მთავარი ინჟინრის კაბინეტში.

— თათბირია, თათბირი! გარეთ გავიდეთ!— ეთიკის აკრძალული წესებით მთავარმა ინჟინერმა მუშა გაიყვანა თავისი ოთახიდან.

— მომისმინეთ!

— ნაღდად ჭკუიდან გადაუხვია! — დიაგნოზი დასვა ფაბრიკის მთავარმა ბუღალტერმა.

— მომისმინეთ!

— ჩუმად! დირექტორს თათბირი აქვს! — მუშას პირზე ხელი მიაფარა მდივანმა ქალმა.

— მომისმინეთ! — პირზე ხელმიფარებული ზმუოდა მუშა.

— ჩუ! თქვენ გავიწყდებათ, რომ, წუნთან დაკავშირებით, საწარმოო თათბირია, თუ არ მოგვცემთ მუშაობის საშუალებას, ბრძანებით გაგიფორმებთ საყვედურს! — კადრების ინსპექტორმა ჩაახშო მუშის სიტყვები.

— მომისმინეთ! მომისმინეთ!

— გაუფორმეთ საყვედური! — კაბინეტიდან კარნახობდა დირექტორი.

— მომისმინეთ! მომისმინეთ!

— სასტიკი საყვედური!

— მომისმინეთ!

— უკანასკნელი საყვედური! — გულუხვობდა დირექტორი.

— მომისმინეთ!

— ეს კაცი ავადმყოფია! — ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაადასტურა დირექტორმა.

— სასწრაფო! — იკივლა მთავარმა ბუღალტერმა.

— მომისმინეთ! მომისმინეთ! — სასწრაფო დახმარების მანქანიდან ღრიალებდა მუშა.

დირექტორის კაბინეტში კი თათბირობდნენ:

— პროდუქცია კარგია, რეკლამა არ უვარგა!

— სეზონის ბრალია!

— იმპორტული ვაი-ავტორიტეტი ჩრდილავს!

— ჩვენს პროდუქციას ნოქრები უტეხენ სახელს!

ექიმი კი მუშის სამედიცინო ანკეტას ავსებდა.

— მომისმინეთ!

— გისმენთ! — ექიმს ორჭოფულად ჩაეღიმა.

— ჩვენი პროდუქციის წუნი დამპალი ძაფის ბრალია, ნესტიან საწყობში რომ უყრიათ!

ექიმმა ზევით დარეკა, ზევიდან ფაბრიკაში დარეკეს:

— წუნი დამპალი ძაფის ბრალია, ნესტიან საწყობში რომ გიყრიათ!

— ვინ თქვა ეგ? — გაოცდა დირექტორი.

— თქვენმა მუშამ! ხანდახან მოუსმინეთ ხოლმე!

შეცვალეს ძაფი, პროდუქცია მოკლე დროში დახლქვეშ, ნაცნობობით იყიდებოდა...

დირექტორმა, ზევიდან მითითების თანახმად — „ხანდახან მოუსმინეთ მუშას!“ — მოიწვია თათბირი. კრებაზე მიპატიჟებულ მუშას ყველამ ერთხმად მიმართა:

— გისმენთ! გისმენთ! გისმენთ!

— არ მცალია თქვენთვის, დაზგები მოცდება!

— უყურე შენ, მერე წავლენ ზევით: ჩივიან, დირექცია არ გვისმენსო! — ენად გაიკრიფა დირექტორი.

ავთანდილ ადეიშვილი

# ᲓᲦᲔᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲕᲛᲐᲠᲮᲐᲕᲗ!

ერთ ჩემს ახლობელს, სოფელში,
მამა მოუკვდა, ქებული
და დიდ მზადებას შეუდგა
მემკვიდრე დამწუხრებული:

დეპეშა ბევრი გაგზავნა
(შეთავდა ათას სამოცად!),
მაგრამ ღარიბი მამიდა
მხედველობიდან გამორჩა...

ფულის სიების საწერად
ბიჭნი გამოჰყო ფხიანნი,
თითოს ორ-ორი დაუდო
რვეული ასფურცლიანი.

სეფაა უზარმაზარი!..
იცლება ჭიქა-კათხები!..
ერთმანეთს კონტროლს უწევენ:
არვინ დალიოს ნაკლები!

მკვდარი სულ გადაავიწყდათ!
დამარხვა აღარ სწადიათ,
ღვინისგან გონდაკარგულნი,
უმისამართოდ დადიან.

— დღეს ნუ დავმარხავთ, რა მოხდა?!
— გაიძახიან უგულოდ, —
ერთი ორი დღე, საწყალმა,
თავის ჭერს კიდევ უყურეს!

ბოლოს აყვირდა მემკვიდრე:
„სახლში მიტოვებთ მამასო!.“
ბარბაცით გამოასვენეს,
ცეკვა უყვარდა ამასო!

. . .

შვილი გამდიდრდა, გალაღდა,
სოფლად ატარებს კარგ სახელს:
თვითონ მანქანა იყიდა,
მამას დაადგა „სასახლე“.

ვალერიან მოსაშვილი

98
9.II 76

# ნიანგის ფოსტა

თბილისიდან (ს. ეულის ქ. №1) ტახომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები გვატყობინებდნენ: ახალ კეთილმოწყობილ რვასართულიან შენობაშია ჩვენი ორგანიზაცია მოთავსებული. როგორც ყველა მრავალსართულიან ნაგებობაში, აქაც არის კეთილმოწყობილი ლიფტები, მაგრამ რად გვინდა, არ ამუშავებენ! ხელმძღვანელობა მესამე სართულზეა, 400-მდე თანამშრომელი კი დავრბივართ ზევით და ქვევით.

აღნიშნული წერილი რედაქციამ ორჯონიკიძის სახ. რაიისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა, საიდანაც გვიპასუხეს: „...ტახომეტრიის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლების განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა აღნიშნული ორგანიზაციის შენობაში ლიფტების მუშაობის მოწესრიგებას, გაცნობებთ, რომ ამჟამად ლიფტების ტექნიკური მდგომარეობა წესრიგშია და მათი ექსპლოატაცია ზარმოეგს ნორმალურად“.

—:—:—:—

რუსთავის მეშვიდე მიკრორაიონის № 16 სახლის მერვე და მეცხრე სართულების მცხოვრებნი გვწერდნენ: სასმელი წყალი გვენატრება, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც წყლის ინტენსიური ხარჯვაა. ლიფტები ნორმალურად არ მუშაობს.

რედაქციამ კოლექტიური განცხადება რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. პასუხი დაუყოვნებლივ მივიღეთ: „...წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. ...ქალაქის კომუნალური განყოფილების წყალკანალტრესტის მუშაკების ყოველგვარმა ცდამ, სისტემაში წნევის რეგულირების ხარჯზე მიეწოდებინათ წყალი აღნიშნულ სართულებზე, შედეგი არ გამოიღო, რის გამოც მიღებულია გადაწყვეტილება, მაღალსართულიან სახლებში წნევის ასამაღლებლად დაიდგას ტუმბოები, ეს სამუშაო უკვე დაწყებულია, ექვს სახლში დაყენებულია ტუმბო და შედეგიც კარგია.

...ლიფტების მუშაობაში შეფერხება დაკავშირებული იყო ლიფტების გაშვება-გამართვის სამუშაოებთან, რაც უკვე დამთავრდა და ლიფტები მუშაობენ ნორმალურად“.

—:—:—;

რედაქციაში მოქ. დ. შ-ის წერილი მოვიდა. წერილს თან ახლდა ორი წყვილი წუნდებული ფეხსაცმელი, თბილისის სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის მიერ დამზადებული. წერილი და წუნდებული ფეხსაცმელები რედაქციამ აღნიშნულ ფაბრიკას გადაუგზავნა, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: „...დიდად სამწუხაროა, რომ ამხ. დ. შ-ეს ორივე წყვილი წუნდებული ფეხსაცმელი შეხვდა. მისი პრეტენზია და აღშფოთება სამართლიანია და მთლიანად ვღებულობთ. ამხ. დ. შ-ის წერილის განსახილველად 8 სექტემბერს (1975 წ.). შესდგა ფაბრიკის საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა ფაბრიკის მთელი კოლექტივი.

...ფაბრიკის ხელმძღვანელობა დიდ ღონისძიებებს ატარებს, რათა შემცირდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დაბრუნებული ფეხსაცმლის რაოდენობა ცალკეული მომხმარებლისაგან“.

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

ნახ. მ. მჰედლიშვილისა



უსიტყვოდ



ნახ. მ. მჰედლიშვილისა




უსიტყვოდ

ჩიტი-გვრიტი ამოვწყვიტე,
ჰოუ, ნანინა!
მე სეზონი მეგონაო,
ჰოუ, ნანინა!
სადაც ლაბაზ ხოხობს ვნახავ,
ჰოუ, ნანინა!
ყველა ჩემი მგონიაო,
ჰოუ, ნანინა!
შველი მოვკალ ჭალაშია,
ჰოუ, ნანინა!
ფურ-ირემი — ნაკრძალშია,
ჰოუ, ნანინა!
ტყისმცველები
მწვადს რომ წვავდნენ,
ჰოუ, ნანინა! —
მე სიზმარი მეგონაო,
ჰოუ, ნანინა!
ჩიტის, შვლის და ირმის მოკვლა
ვინ შემარჩინა?
რაც დავხოცე, სულ ცხვირიდან
ამომედინა!..
მე კი ჩემი მეგონაო,
ჰოუ, ნანინა!

ტ. ნიკოლოზიძე.

ნახატი თეზისებს ავტორები: მ. აბაშიძე, მ. მჰედლიშვილი, თ. ფხაკაძე, ნ. ჭელიხაშვილი, ხ. ჯიბრიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კასიანაშვილი, ჯ. ლოლაშვილი, გ. ლოგვინიძე, ნ. ბალაბანია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ი. ჭელიძე. ⊙ სარედაქციის მისამართი: 383 ცა-ის ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ გადაეცა ასაწყობად 9/I-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/I-76 წ. ⊙ ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 0091. უე 00634. ტირაჟი 138.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82. ⊙ რედაქციაში შემოსული მასალები არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზაშვილი

76-98

ეროვნული ბიბლიოთეკა




„ეროვნული უშიშროების კვლევის ცენტრის მონაცემებით. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების „ს-141“ სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს განკარგულებაშია, რეგულარულად ჯდებიან ანგოლის ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში და ჩააქვთ იქ იარაღის დიდი პარტიები, მათ შორის შაშხანები, ავტომატები, ქვემეხები, სარაკეტო დანადგარები და ტყვიაწამალი. შემდეგ ამ სამხედრო აღჭურვილობას უგზავნიან ანგოლელ მეამბოხეებს.

გაზეთებიდან

## ახალი ამერიკული ტურიზმი

ამერიკის ზეცრდებული ზტრტების მეთ რიგ ქალაქებში, მათ შორის ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და კალიფორნიის შტატში ამერიკელ მაქინაციებისგან ანგოლაში გასაგზავნად.

გაზეთებიდან

## საინტერესო ინფორმაციები

№ 19 წელი

ნახ. გ. ლომაძისა